სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი აწესრიგებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ გაცემის პირობებს და პროცედურებს.
2. საგრანტო დაფინანსების მიზნით სააგენტოს ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტი ახორციელებს „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ პროგრამას, (შემდგომში „პროგრამა“/„საგრანტო პროგრამა“) საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებასა და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს.
3. ამ წესით განსაზღვრული გრანტების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.
4. ამ წესის მიზნებისათვის რეგიონი გულისხმობს შემდეგ რეგიონებს: აჭარა, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი ქვემო-ქართლი.

მუხლი 2. საგრანტო პროგრამის მიზანი

1. საგრანტო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) ადგილობრივი ინოვაციური და/ან ტექნოლოგიური პოტენციალისა და ეკოსისტემის გაძლიერებას;

ბ) საქართველოს რეგიონებში ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და პროცესების შემუშავება-ათვისებისა და კომერციალიზაციის გზით ინოვაციური და ტექნოლოგიური სტარტაპების შექმნის ხელშეწყობას.

მუხლი 3. გრანტის მიმღები

1. საგრანტო პროგრამაში განაცხადის წარდგენა შეუძლიათ „გრანტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ სუბიექტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ამ წესის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის რეგიონში:

ა) საქართველოს მოქალაქე.

ბ) პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი.

გ)“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოება.

2. გრანტის მიმღები შეიძლება იყოს მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შესაბამის რეგიონში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ფიზიკური პირის საგრანტო განაცხადის გამარჯვების შემთხვევაში, მის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირის რეგისტრაცია სავალდებულოა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე. გამარჯვებული პროექტის ავტორი ფიზიკური პირის მიერ რეგისტრაციის არ განხორციელება გამარჯვებიდან 1 თვის ვადაში, განიხილება მისი მხრიდან საგრანტო დაფინანსების მიღებაზე უარად.

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება

1. საგრანტო კონკურსის „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პორტალზე www.grants.gov.ge.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირს განაცხადის გაკეთება შეუძლია კონკურსის გამოცხადების მომენტიდან, შესაბამის ვადებში, პორტალის www.grants.gov.ge მეშვეობით.
3. საგრანტო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას საგრანტო კონკურსის შესახებ.
ბ) გრანტის გაცემის წესს.

მუხლი 5. საგრანტო განაცხადი

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნებისათვის დაინტერესებულმა პირმა საგრანტო განაცხადი უნდა დაარეგისტრიროს www.grants.gov.ge ვებპორტალზე.
2. საგრანტო განაცხადი მოიცავს:

ა) ბიზნეს გეგმას;
ბ) პროექტის ბიუჯეტს;
ბ) განმცხადებლის და პროექტის მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეზიუმე(ები) (cv);
გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი განმცხადებლის შემთხვევაში, განაცხადს ასევე უნდა ერთვოდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაცემული ნებართვა, რომელიც განმცხადებელს ანიჭებს კონკურსში მონაწილეობისა და გამარჯვების შემთხვევაში საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას;
დ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია კონკურსის შეფასების ეტაპზე მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა განმცხადებლის მხრიდან.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ეტაპები

1. საგრანტო კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) სააგენტოს მიერ საგრანტო კონკურსის გამოცხადება და საგრანტო განაცხადების მიღება;
ბ) სააგენტოს მიერ საგრანტო განაცხადის ფორმალური გამართულობისა და შინაარსობრივი შესაბამისობის შემოწმება;
გ) შემდეგ ეტაპზე გადასული კონკურსის მონაწილეებისთვის ტრენინგების ჩატარება;
ბ) განმცხადებლის მიერ საგრანტო კომისიის წინაშე პროექტის წარდგენა;
გ)კომისიის მიერ, საგრანტო განაცხადის განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. საგრანტო კონკურისის ფარგლებში განაცხადების მიღების დასრულებიდან 3 თვის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაფინანსების შესახებ.

3. ამ წესის მიზნებისათვის ფორმალური გამართულობა გულისხმობს:

ა) განმცხადებელი რეგისტრირებულია იმ რეგიონში, რომლის კონკურსის ფარგლებშიც შემოაქვს განაცხადი;
ბ) განაცხადის ფორმის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი;
დ) განაცხადს ერთვის მასში მითითებული დანართები.

4. ფორმალური გაუმართაობის შემთხვევაში სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს 5 დღიან ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზი გამოსწორებულად ითვლება და განაცხადის განხილვის ვადის ათვლა იწყება აღნიშნულ ვადაში შესაბამისი დაზუსტებული განაცხადის/დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის მომენტიდან.

5. ამ მუხლის პუნქტი 4 შესაბამისად დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განაცხადი არ გადადის კონკურსის შემდეგ ეტაპზე, რაც არ ართმევს განმცხადებელს უფლებას იგივე საგრანტო განაცხადი წარმოადგინოს განმეორებით.
6. საგრანტო განცხადის შინაარსობრივი შესაბამისობა გულისხმობს განაცხადის შესაბამისობას ამ წესის მე-2 მუხლთან.
7. შინაარსობრივი შეუსაბამობის შემთხვევაში საგრანტო განაცხადი არ გადადის კონკურსის შემდეგ ეტაპზე, ხოლო იგივე განაცხადის განმეორებით შემოტანის შემთხვევაში არ ექვემდებარება განხილვას.

მუხლი 7. საგრანტო კონკურსის სპეციალური პირობები

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთი და იმავე განმცხადებელი უფლებამოსილია დაფინანსება მიიღოს მხოლოდ ერთი პროექტისათვის არაუმეტს 25 000 ლარის ოდენობით.

2. ამ წესის შესაბამისად მიღებული გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას თანადაფინანსების წყაროდ.

3. სააგენტო უფლებამოსილია გრანტის მიმღებს ხელშეკრულების დადების შემდეგ ავანსის სახით გადასცეს პროექტის ბიუჯეტის არაუმეტს 90 პროცენტი. დარჩენილი 10 პროცენტი გრანტის მიმღებმა საკუთარი სახსრებით უნდა გახარჯოს პროექტის ვადის დასრულებამდე. აღნიშნული 10 პროცენტის ანაზღაურება ხდება გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშების შემოწმების შემდეგ, მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

4. გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო დაფინანსებაზე ამ წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოადგინოს ნულოვანი საბანკო ანგარიში, რომელზეც სააგენტო უზრუნველყოფს გრანტის ჩარიცხვას.

5. გრანტის მიმღები ვალდებულია გრანტის თანხა გამოიყენოს მიზნობრივად, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაბამისად. იგი არ არის უფლებამოსილი გრანტისთვის განკუთვნილი საბანკო ანგარიშით აწარმოოს გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგრანტო პროექტთან, ან აღნიშნულ ანგარიშზე მიიღოს სხვა თანხები.

6. საგრანტო პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს ერთჯერადად არაუმეტეს 3 თვის ვადით.

7. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ფინანსური და პროგრამული ანგარიში პორტალის www.grants.gov.ge მეშვეობით.

8. სააგენტო უფლებამოსილია საგრანტო პროექტის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში გრანტის მიმღებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია პროექტის განვითარების შესახებ სააგენტოს მიერ შერჩეული ნებისმიერი ფორმით.

9. სააგენტო არ არის უფლებამოსილი დააფინანსოს საგრანტო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დაფინანსების მოპოვების მიზნით სააგენტოს განზრახ შეცდომაში შეყვანას და შეიცავს ყალბ ან არაზუსტ ფაქტებს.

10. კომისიის მიერ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტო არ არის უფლებამოსილი ასეთი პროექტის ავტორთან დადოს ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდეგ ასეთი ფაქტების გამოვლენა, არის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, რა

დროსაც, გრანტის მიმღები ვალდებულია დააბრუნოს საგრანტო დაფინანსების ფარგლებში სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული თანხა.

11. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას არ ექვემდებარება:

სპირტის და სპირტიანი სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოება. ღვინის ინდუსტრიასთან დაკავშირებული პროექტები დასაშვებად იქნება მიჩნეული თუ იგი არ ეხება სპირტის ან სპირტის შემცველი პროდუქტების შექმნას.

12. გრანტის მიმღები არ არის უფლებამოსილი საგრანტო ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის განმავლობაში რეგისტრირებული ადგილსამყოფელი/იურიდიული მისამართი გადაიტანოს სხვა რეგიონში.

მუხლი 8. გრანტის განკარგვა

1. გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ მიზნობრივი ხარჯები. მიზნობრივ ხარჯად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ხარჯი გაწეულია შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის თანახმად;

ბ) გაწეული და გადახდილია პროექტის განხორციელების პერიოდში.

გ) მიზნობრივი და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად;

დ) აღრიცხულია გრანტის მიმღების საბუღალტრო ჩანაწერებში;

ე) შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

2. პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელი მოიცავდეს შემდეგ მუხლებს:

ა) ხელფასი - უნდა მოიცავდეს პროექტზე მომუშავე თანამშრომლების ყველა გადასახადს თუ სოციალურ სარგებელს; არ უნდა აღემატებოდეს პროექტით მოთხოვნილი ბიუჯეტის 20%-ს;

ბ) წარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობა, მანქანა-დანადგარები და კვლევითი და საცდელი სამუშაოებისათვის საჭირო სასაქონლო მატერიალური მარაგები;

გ) კვლევითი და საცდელი მომსახურება, ამასთან ყველა შეთანხმება, დადებული მესამე მხარესთან უნდა ითვალისწინებდეს წინაპირობას, რომ ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც შესაძლოა შეიქმნას პროექტის იმპლემენტაციის პერიოდში, იქნება გრანტის მიმღების საკუთრება;

დ) კვლევითი და საცდელი დარგის ექსპერტები/მრჩევლების ანაზღაურება;

ე) საპატენტო განაცხადების ანდა სერტიფიკატების საფასურები;

ვ) პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ასევე ითვალისწინებდეს სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს პროექტის საჭიროებებიდან და არ განეკუთვნება მე-9 მუხლით გათვალისწინებულ არამიზნობრივი ხარჯების კატეგორიას.

3. გრანტის მიმღების მიერ გრანტის განკარგვა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

მუხლი 9. არამიზნობრივი ხარჯები

1. არამიზნობრივად ითვლება შემდეგი ხარჯი:

ა) პროექტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები;

ბ) დღგ-ს, მოგების და იმპორტის გადასახადი იმ შეღავათების შესაბამისად, რაც გრანტის მიმღებისთვის არის გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებში. დღგ-ს გრანტის სახსრებიდან დაფარვის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა ვერ ჩაითვლება მიზნობრივ ხარჯად და შესაბამისად არ იქნება შეტანილი ფინანსური ანგარიშის დანახარჯების ნუსხაში;

გ) ბიუჯეტის ის პუნქტები, რომელიც უკვე დაფინანსებულია სხვა სტრუქტურის, პროგრამის ან კომპანიის/დაწესებულების მეშვეობით (ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილება);

დ) კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული დანაკარგები, აგრეთვე ჯარიმები;

ე) გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;

ვ) მიწისა და შენობების შესყიდვა, შენობა-ნაგებობების აშენება ან/და სარემონტო ხარჯები;

2. არამიზნობრივად განკარგული თანხები ექვემდევარება სააგენტოსთვის დაბრუნებას, მათი არამიზნობრივ ხარჯად აღიარებიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში.

მუხლი 10. საგრანტო კომისია

1. საგრანტო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგრანტო კომისია.

2. საგრანტო კომისია შედგება **3 წევრისგან,** რომელთაც ბრძანებით ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე.

3. საგრანტო კომისიის წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს.

4. საგრანტო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განმცხადებლის მიერ საგრანტო განაცხადის განხილვისა და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია დაუსვას კითხვები განმცხადებელს.

5. კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს საგრანტო განაცხადს ამ წესის მე-11 მუხლით დადგენილი კრიტერიუმებით, რის საფუძველზეც დგება სხდომის ოქმი და ვლინდება გამარჯვებული. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

6. კომისია უფლებამოსილია გასაუბრების შედეგად განმცხადებელს მისცეს რეკომენდაცია საგრანტო განაცხადის გაუმჯობესების შესახებ ან/და მოსთხოვოს წარმოდგენილი ბიუჯეტის კორექტირება, რაც აისახება საგრანტო კომისიის სხდომის ოქმში.

7. საჭიროების შემთხვევაში საგრანტო კომისია უფლებამოსილია კომისიის სხდომა/ გასაუბრებები ჩაატაროს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით.

მუხლი 11. საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

1. საგრანტო განაცხადი, ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით

ა) პროექტის გუნდის კომპეტენცია - გუნდი მზად არის გამოიყენოს შესაძლებლობა მოცემულ დროის პერიოდში; გუნდის წევრებს აქვთ ინდუსტრიის ექსპეტული ცოდნა; გუნდის წევრებს აქვთ ერთად მუშაობის გამოცდილება; გუნდში არ არის საკვანძო პოზიციის/პოზიციების დეფიციტი.

ბ) პროექტის კომერციალიზაციის პოტენციალი (ბაზრის მოცულობა/მასშტაბი/შესაძლებლობა) - წარმოების გაზრდის მასშაბატი/ბიზნესის მაქსიმალური მასშტაბი; გადასაწყვეტი პრობლემის

მნიშვნელობა; ბაზრის კონკუნტუნლობა; კონკურენტების მდგომარეობა ბაზრაზე; ბაზრის მასშატაბი (ადგილობრივი, რეგიონალური, გლობალური); ბიზნესის მაქსიმალური მასშტაბი.

გ) კონკურენტული უპირატესობა/ინოვაციურობა - შემოთავაზებული ინოვაციის უპირატესობა; სტარტაპის კონკურენტული უპირატესობა; სტარტაპის კონკურენტების შეფასება; ინტელექტუალური საკუთრება ანდა მისი შექმნის პოტენციალი.

დ) რეგიონში ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა - მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა.

2. შეფასების თითოეული კრიტერიუმი საგრანტო კომისიის მიერ ფასდება 1-3 ქულამდე. (1 ქულა - ცუდი. 2 ქულა - საშუალო, 3 ქულა - კარგი).
3. პროექტების შეფასების შედეგად, დგება სარეიტინგო სია. პროექტმა შესაძლებელია ჯამში დააგროვოს 36 ქულა, სარეიტინგო სიაში ხვდება მხოლოდ ის პროექტი, რომელიც დააგროვებს მაქსიმალური ქულის მინიმუმ 50%-ს.
4. სარეიტინგო სიის შედგენისას, იმ სტარტაპებს, რომლის დამფუძნებლებიც არიან/იქნებიან ქალები (50%-ზე მეტი წილი) მიენიჭებათ დამატებით 2 ქულა.

(ცვლილება: სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოეგბის 2023 წლის 11 მაისის ბრძანება #32ს)

მუხლი 12. საგრანტო ხელშეკრულების დადება

1. იმ პირებთან, რომელთა დაფინანსების შესახებ კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, სააგენტო სხდომის ოქმის შედგენიდან პროექტის დაწყებამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს, რომლითაც განისაზღვრება სააგენტოსა და დაფინანსებულ პირთან შორის ურთიერთობები.
2. ხელშეკრულების დადების ეტაპზე სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების გაფორმებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტების ანდა საგრანტო პროექტის ბიუჯეტის რედაქტირება ამ წესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საგრანტო კომისიის წინაშე განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის ფარგლებში.
3. გრანტის მიმღებსა და სააგენტოს შორის ურთიერთობები, მათ შორის მონიტორინგის წესი და მხარეთა პასუხისმგებლობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 13. დაფინანსებულ საგრანტო პროექტში ცვლილებების შეტანა

1. დაფინანსებული საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ მოთხოვნა გრანტის მიმღების მიერ უნდა მოხდეს ცვლილების საჭიროების გამოვლენიდან დაუყოვნებლივ, გაჭიანურების გარეშე, პროექტის ვადის დასრულებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების შესახებ მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა ასაბუთებდეს ცვლილების საჭიროებას და უთითებდეს, თუ როდის გახდა ცნობილი გრანტის მიმღებისათვის ცვლილების საჭიროება.

3. სააგენტო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომლის საჭიროება არ არის დასაბუთებული, ან წარმოდგენილია დაგვიანებით.

4. საგრანტო პროექტში ცვლილებების შესახებ გრანტის მიმღების მიერ წერილობითი ფორმით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო დაფინანსებული საგრანტო პროექტის

ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დასრულებამდე იღებს გადაწყვეტილებას პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებსა და ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ან/და საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ვადის ცვლილების შესახებ.

5. გრანტის მიმღები უფლებამოსილია, სააგენტოსთან ცვლილების შეთანხმების გარეშე, დაუშვას თხუთმეტ პროცენტამდე (15%) გადაჭარბება/ცვლილება პროექტის ბიუჯეტში მოცემულ ერთ ან რამდენიმე ბიუჯეტის კატეგორიისათვის. თუ მოსალოდნელია, რომ პროექტის მსვლელობისას რომელიმე ბიუჯეტის კატეგორიასთან დაკავშირებული დანახარჯების ცვლილება თხუთმეტ პროცენტს (15%) გადააჭარბებს, სააგენტოსთან შესათანხმებლად წარდგენილი უნდა იქნას საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების წერილობითი მოთხოვნა.

მუხლი 14. საგრანტო პროექტის მონიტორინგი

1. საგრანტო პროექტის მონიტორინგი შედგება პროგრამული და ფინანსური მონიტორინგისგან. პროგამული მონიტრინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა და აქტივობების შესრულების შემოწმებას, ხოლო ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის შემოწმებას, რაც აისახება ფინანსური ანგარიშის განხილვისა და პროგრამული ანგარიშის განხილვის აქტებში.

2. გრანტის მიმღებმა პროგრამული და ფინანსური ანგარიშები სააგენტოს უნდა წარუდგინოს პროექტის დასრულებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში. ფინანსურ ანგარიშებს უნდა ერთოდეს საგრანტო განაცხადის ფარგლებში გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო პროგრამულ ანგარიშს, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულ ვადაში, პროგრამული და ფინანსური ანგარიშების წარმოუდგებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ჩათვალოს გრანტის ფარგლებში გადარიცხული თანხა არამიზნობრივ გახარჯვად.

3. სააგენტო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს განიხილავს მათი წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში. ხარვეზების შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება დამატებითი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

4. გრანტის მიმღების მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირველადი ხარვეზების ან/და შემდგომი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, საგრანტო პროექტი იხურება არსებული მდგომარეობით საგრანტო პროექტის დასრულებიდან არაუგვაინეს 1 წლის ვადაში და დგება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შედეგი.

5. ფინანსური ანგარიშის განხილვისა და პროგრამული ანგარიშის განხილვის აქტების საფუძველზე სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის დგება შედარების აქტი.

6. გრანტის მიმღებსა და სააგენტოს შორის საბოლოო ანგარიშსწორება ხდება მხარეთა შორის გაფორმებული შედარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 15. ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრი ვალდებულია, კომისიის სხდომის დაწყებამდე წერილობით განაცხადოს თვითაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა იმ პროექტის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს სხდომის ოქმში.

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კომისიის წევრი და განმცხადებელი ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.

2. ამ ბრძანების მიზნებისათვის ურთიერთდაკავშირებულ პირებად ითვლებიან პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საგრანტო დაფინანსებაზე, მათ შორის ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) კომისიის წევრი და განმცხადებელი არიან ერთი საწარმოს პარტნიორები;
ბ)კომისიის წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს საწარმოში ან კომისიის წევრი ახორციელებს საწარმოს კონტროლს (განმცხადებელი იურიდიული პირის შემთხვევაში);
გ)კომისიის წევრი/განმცხადებელი თანამდებობრივად ექვემდებარება განმცხადებელს/კომისიის წევრს; კომისიის წევრი/განმცხადებელი იმყოფება შრომით ურთიერთობაში განმცხადებელთან/კომისიის წევრთან;
დ) კომისიის წევრი და განმცხადებელი ნათესავები არიან;
ე) კომისიის წევრი და განმცხადებელი არარეგისტრირებული კავშირის/ ამხანაგობის წევრები არიან.

3. ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:

ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ასევე ნათესავების პირველ და მეორე შტოსთან მუდმივად მცხოვრები პირები.

4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობა წარმოადგენს იმ საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს, რომელთან მიმართებითაც კომისიის წევრს გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი.

მუხლი 16. კონფიდენციალურობა

საგრანტო განაცხადების შეფასებაში ჩართული პირები, მათ შორის, კომისიის წევრები, არ არიან უფლებამოსილნი გაამჟღავნონ ან პირადი მიზნებისათვის გამოიყენონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.